



**მეცნიერული კვლევები და უახლესი მიგნებები
ფინანსურ მონიტორინგში**

DOI - 10.36962/ecs105/9-10/2022-74

თორნიკე ჯინჭარაძე

სტუ დოქტორანტი

ტრისტან ჯინჭარაძე

თავისუფალი უნივერსიტეტის

პროფესორი

რეზიუმე

განხილულია ფინანსური მონიტორინგის საკითხზე არსებული კვლევები და ის შემოთავაზებები, რაც ავტორებს აქვთ. ამ კვლევების განხილვა იწყება ამერიკელი მეცნიერი ედუარდ ალტმანის Z - მოდელით, რომელიც მან შესთავაზა კომპანიებს გაკოტრების საფრთხის საპროგნოზოდ. წარმოდგენილია ედუარდ ალტმანის მიერ შემუშავებული Z - მოდელის, როგორც ადრინდელი, ისე კორექტირებული ვარიანტი.

განხილული და შეფასებულია აგრეთვე გაკოტრების საპროგნოზოდ ვ. ფულმერის მიერ შემუშავებული 9 ფაქტორიანი მოდელი და რ. საიფულინის და გ. კადიკოვის ოთხფაქტორიანი მოდელები.

მონიტორინგის სფეროში უფრო ახალი კვლევების რანგში დასახელებულია პორტუგალიელი მეცნიერის ანა პაულა ლოპესის კვლევა, რომელმაც დაადგინა, რომ კომპანიები, რომელთაც ე. წ. „დიდი ოთხეულის“ აუდიტორები ემსახურებიან, ფინანსურ ნაწილში აღარ თაღლითობენ. მაღაიაზიის მეცნიერებმა ნურ აიშა ნიზანმა და ზუჰაიხა ზაილანმა 2019 წელს და-

ადგინეს, რომ უმჯობესია ფინანსური აუდიტი ჩატარდეს ტექნოლოგიურ და ადამიანურ აუდიტთან ერთად. ასევე, 2019 წელს ვილნიუსელმა მეცნიერმა პ. პოშინაუსმა დაასაბუთა, რომ მონიტორინგი უნდა ტარდებოდეს მხოლოდ ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებით, რადგან ისინი ფინანსური დარღვევების მიგნების დიდ შესაძლებლობებს იძლევიან. 2020 წელს კი, ჩეხმა მეცნიერმა ანეტა ზემანკოვამ საზოგადოებას შესთავაზა მონიტორინგში გამოიყენონ ხელოვნური ინტელექტი. მისი დანერგვით აუდიტის სმარტ-პროცედურები და სმარტ-კონტრაქტები შეიძლება შესრულდეს ავტომატიზებული წესით.

გაკეთებულია დასკვნა, რომ საქართველოს აუდიტორები მათემატიკური განათლების დაბალი დონის გამო, აუდიტში არა თუ ბლოკჩეინებს და ხელოვნურ ინტელექტს, არამედ, ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელებსაც ვერ იყენებენ და აყენებენ საკითხს ამ მიმართულებით მათ გადამზადების აუცილებლობის შესახებ.

ასევე განხილულია დივერსიფიცირებული კომპანიების პასუხისმგებლობის ცენტრებად დაყოფის საკითხებიც და მათი ფინანსური მონიტორინგიც.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური მონიტორინგი; გაკოტრების ალბათობა; Z - მოდელი; ფულმერის მოდელი; მათემატიკური მოდელები; პასუხისმგებლობითი ცენტრები.

შესავალი

ფინანსური მონიტორინგის ძირითადი მიზანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობის გამოკვლევა. ყველა ის ქმედება, რომელსაც შემონების პროცესში აუდიტორები ახორციელებენ, იქნება ეს გადაცდომის თუ თაღლითობის აღმოჩენა, არ-

ასნორი გადარიცხვის თუ ფასების დამახინჯების შემთხვევების მიგნება თუ რაიმე სხვა, საბოლოო ჯამში, ემსახურება იმის გარკვევას, რამდენად სიცოცხლისუნარიანია კომპანია და ეს დარღვევები ხომ არ უშლის მას ხელს დასახული მიზნის მიღწევაში. დასახული მიზანი კი არის უწყვეტი ფუნქციონირება, ლიდერობა ბაზარზე და სტაბილური ფინანსური მდგომარეობა. ჩვენთანაც და საზღვარგარეთაც, ეს არის კომპანიების სასიცოცხლო ინტერესი.

ძირითადი ტექსტი

კომპანიათა მომავალი ფინანსური მდგომარეობის განსაზღვრა მნიშვნელოვანი საკითხია. ამერიკელი მეცნიერის ედუარდ ალტმანის (Altman E.) შრომები პირველი გზამკვლევი იყო ამ საქმეში [1. გვ. 489]. მან 1968 წელს, დისკრიმინანტული ანალიზის გამოყენებით, შექმნა გარკვეული მოდელი კომპანიების სამომავლო ფინანსური მდგომარეობის საპროგნოზოდ. ეს მოდელი იძლეოდა ერთ ინტეგრირებულ მაჩვენებელს. მისი ეს მიგნება, რომელიც კომპანიების ფინანსური ურთიერთობის მოსაგვარებლად და გაკოტრების საფრთხის საპროგნოზოდ გამოდგა, ფაქტიურად იყო ფინანსური მეცნიერებისადმი კომპანიათა დაკვეთა, რომ გამოძებნილიყო ერთი მაჩვენებელი, რომლითაც ბოლო მოეღებოდა 20-25 ფინანსური კოეფიციენტის ანგარიშს, რომლებიც ფაქტიურად, ურთიერთგამორიცხავ შედეგებს იძლეოდნენ. კომპანიებმა ეს ინტეგრირებული მაჩვენებელი 1968 წელს მიიღეს. ეს იყო ედუარდ ალტმანის ე. წ. Z-ანგარიში (Z მოდელი) [2. გვ. 29-54]. ეს მოდელი ალტმანმა შექმნა სამრეწველო საწარმოებისთვის, თუმცა, იგი გამოყენებადი გამოდგა სხვა ტიპის საწარმოებისთვისაც [3].

ე. ალტმანის თავდაპირველი Z-მოდელი (Z-models) გულისხმობდა, რომ საწარმო, რომლის გაკოტრების საპროგნოზოდ

გამოიყენებდნენ მის ფორმულას, უნდა კოტირებადი ყოფილიყო კაპიტალის ბაზარზე. ასეთი კომპანიისთვის მან ბიზნესს გამოსაყენებლად შესთავაზა Z-მოდელის ხაზობრივად ინტეგრირებული ხუთი ფინანსური მაჩვენებელი, კერძოდ, x_1 - საბრუნავი კაპიტალი; x_2 - გაუნანილებელი მოგება; x_3 - მოგება პროცენტების და გადასახადების გადახდამდე; x_4 - კაპიტალის საბაზრო ღირებულება; x_5 - რეალიზაციიდან ამონაგები. აღნიშნულ მოდელს ასეთი სახე ჰქონდა:

$$Z = 1.2 \cdot x_1 + 1.4 \cdot x_2 + 3.3 \cdot x_3 + 0.6 \cdot x_4 + 0.999 \cdot x_5$$

ყველა ეს მაჩვენებელი ხელმისაწვდომი იყო კომპანიებისთვის. ისინი ან ასახული იყვნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში, ანდა მათზე დაყრდნობით ადვილი იყო მათი ანგარიში. მაგრამ ეს არ ეხებოდა x_4 - მაჩვენებელს. ეს მაჩვენებელი მოითხოვდა, რომ სანარმო, რომლის ფინანსური მდგომარეობა პროგნოზირდებოდა, კაპიტალის ბირჟაზე ყოფილიყო დარეგისტრირებული, ანუ მისი აქციები ყოფილიყო კოტირებადი ბირჟაზე.

მეცნიერმა ე. ალტმანმა გაითვალისწინა მისი მოდელის ეს ნაკლოვანება, 1997 წელს ხელმეორედ ჩაატარა კვლევა და Z-მოდელის მეოთხე ცვლდი x'_4 -ით შეცვალა. ახალი ცვლადის გამოყენება ყველა სანარმოს შეეძლო. იგი იანგარიშებოდა სანარმოს კაპიტალის საბალანსო ღირებულების შეფარდებით მისივე ვალის საბალანსო ღირებულებასთან. ალტმანის განახლებულმა Z' - მოდელმა ასეთი სახე მიიღო [4]:

$$Z' = 0.717x_1 + 0.847 \cdot x_2 + 3.107 \cdot x_3 + 0.420 \cdot x'_4 + 0.998 \cdot x_5$$

მეცნიერ ალტმანის მიერ შემუშავებული ეს მოდელი დღეს ფართოდ გამოიყენება და მას ალტმანის განახლებული Z' - მოდელი ეწოდება.

კომპანიების ფინანსურ მონიტორინგში მათი სამომავლო ფინანსური მდგომარეობის საპროგნოზოდ კვლევები აქვს ჩატარებული უცხოელ მეცნიერს ვ. ფულმერსაც (Fulmer W.). ალტმანის მსგავსად, მასაც გაკოტრების ალბათობის მოდელი აქვს შემუშავებული. იგი ასე გამოიყურება [5. გვ. 117]:

$$H = (5,528 \cdot V_1) + (0.212 \cdot V_2) + (0.073 \cdot V_3) + (1.270 + 0 \cdot V_4) - (0.120 \cdot V_5) + (2.335 \cdot V_6) + (0.575 \cdot V_7) + (1.083 \cdot V_8) + (0.894 \cdot V_9) - 6.075$$

H – არის გაკოტრების ალბათობა

$$V_1 = \frac{\text{გაუნაწილებელი მოგება}}{\text{აქტივების მოცულობა}}$$

$$V_2 = \frac{\text{რეალიზაციის მოცულობა}}{\text{აქტივების მოცულობა}}$$

$$V_3 = \frac{\text{საბალანსო მოგება}}{\text{აქტივების მოცულობა}}$$

$$V_4 = \frac{\text{ფულის ნაკადები}}{\text{დაავალიანების მოცულობა}}$$

$$V_5 = \frac{\text{გასული წლების დაუფარავი ზარალი}}{\text{აქტივების მოცულობა}}$$

$$V_6 = \frac{\text{მიმდინარე პასივები}}{\text{აქტივების მოცულობა}}$$

$$V_7 = \text{Log (მატერიალური აქტივები)}$$

$$V_8 = \frac{\text{საბრუნავი აქტივების მოცულობა}}{\text{აქტივების მოცულობა}}$$

$$V_9 = \left(\frac{\text{НРЭИ}}{\text{კრედიტის პროცენტები}} \right) = \left(\frac{\text{საბალანსო მოგება} + \text{კრედიტის პროცენტი}}{\text{კრედიტის პროცენტები}} \right)$$

თუ $H < 0$ -ზე მაშინ გაკოტრების ალბათობა მაღალია, თუ $H \geq 0$ -ზე, მაშინ არ არის დიდი.

კომპანიების ფინანსური მონიტორინგის სფეროში თავისი კონცეფცია აქვთ მეცნიერ-ეკონომისტებს რ. საიფულინს და გ. კადიკოვს. კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შეფასებას ისინი შემდეგი ფორმულით გვთავაზობენ [6. გვ. 57-58]:

$$R = 2K_a + 0.1K_{\text{тл}} + 0.080K + 0.45K_M + P_{\text{ck}}$$

R – არის გაკოტრების ალბათობა

$$K_a - \text{ავტონომიის კოეფიციენტი} \left(\frac{\text{საკუთარი კაპიტალი}}{\text{კაპიტალი}} \right)$$

$$K_{\text{тл}} = \text{მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი} \left(\frac{\text{საბრუნავი აქტივები}}{\text{მინდინარე პასივები}} \right)$$

$$O_k = \text{კაპიტალის ბრუნვალობის კოეფიციენტი} \left(\frac{\text{რეალიზაციიდან წმინდა ამონაგები}}{\text{კაპიტალი}} \right)$$

$$K_r = \text{მენეჯმენტის კოეფიციენტი} \left(\frac{\text{რეალიზაციიდან მოგება}}{\text{რეალიზაციიდან წმინდა ამონაგები}} \right)$$

$$P_{\text{ck}} = \text{საკუთარი კაპიტალის რენტაბელობა} \left(\frac{\text{საბალანსო მოგება}}{\text{საკუთარი კაპიტალი}} \right)$$

თუ $R < 1$ -ზე გაკოტრების ალბათობა მაღალია, თუ $R \geq 1$ -ზე, მაშინ არ არის დიდი.

იგივე საკითხს მიუძღვნა თავისი კვლევა ამერიკელმა მეცნიერმა ვ. ბივერმა [7].¹ მან ეს კვლევა ბანკებზე ჩატარებული მონიტორინგის შემდეგ, შეიმუშავა და ბანკების მსესხებლების ნორმალური მდგომარეობის აღმნიშვნელი კოეფიციენტი შეიმუშავა. ბევერის მოდელში შემდეგი მაჩვენებლებია შეტანილი:

$$\text{ბივერის კოეფიციენტი} = \frac{\text{წმინდა მოგება} - \text{ამორტიზაცია}}{\text{ვალდებულებები}}$$

$$\text{აქტივების რენტაბელობა} = \frac{\text{წმინდა მოგება} - \text{ამორტიზაცია}}{\text{აქტივები}}$$

$$\text{ფინანსური ლევარი} = \frac{\text{ვალდებულებები}}{\text{აქტივები}}$$

$$\begin{aligned} \text{აქტივების გადაფარვის კოეფიციენტი} \\ = \frac{\text{საკუთარი კაპიტალი} - \text{ბრუნვისგარეშე აქტივები}}{\text{აქტივები}} \end{aligned}$$

$$\begin{aligned} \text{მოკლევადიანი ვალდებულებების გადაფარვის კოეფიციენტი} \\ = \frac{\text{საბრუნავი აქტივები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}} \end{aligned}$$

თითოეულ ამ მაჩვენებლებისთვის ვ. ბივერმა შეიმუშავა ნორმალური მდგომარეობის ამსახველი კოეფიციენტი, კერძოდ:

ბივერის კოეფიციენტი - 0,4-0,45.

აქტივების რენტაბელობა - 6-8%.

¹ **Bewver W. H.** Financial Rations and Prodiction's of Failure/W.H.Beaver//Supplement to Journal of Accounting Research. 1996.

ფინანსური ლევერიჯი - $\geq 0,37$.

აქტივების გადაფარვის კოეფიციენტი - 0,4.

მოკლევადიანი ვალდებულებების გადაფარვის კოეფიციენტი - $\geq 3,2$.

მეცნიერი ვ.ბივერი თვლის, რომ თუ ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლები, რომლებიც იანგარიშება მსესხებლის ბალანსის მიხედვით, ამ ნორმალური კოეფიციენტების ტოლია, ან მასთან მიახლოებულია, მაშინ, გამსესხებელ კომერციულ ბანკს გაკოტრება არ ელოდება.

მეცნიერი ბივერი რეკომენდაციას აძლევს ბანკებს, რომ მისი მოდელის გამოყენებით, სისტემატურად ატარონ მსესხებელი კომპანიების ფინანსური მონიტორინგი, რათა დაიზღვიონ თავი გაკოტრებისგან.

მონიტორინგის ხარისხი 2019 წელს შეისწავლა პორტუგალიელმა მეცნიერმა ანა პაულა ლოპესმა [8]. მან გამოიკვლია 4723 კომპანია 45 დარგიდან და ქვედარგიდან. ანალიზი ჩატარდა 2010-2013 წლებზე. კომპანიების აღნიშნული რიცხვიდან 790 კომპანიაში (ანუ ამორჩეული მასიდან 17%-ში) აუდიტი ჩატარებული ჰქონდათ „დიდი ოთხეულის“ აუდიტორულ კომპანიებს, 3933 კომპანიაში კი ისეთ აუდიტორულ კომპანიებს, რომლებიც არ შედიოდნენ „დიდ ოთხეულში“. კვლევის მიზანი იყო იმის დადგენა, ჰქონდათ თუ არა იმ კომპანიებს ნაკლები ფინანსური დარღვევები და ნაკლები მანიპულაციები, რომლებსაც „დიდი ოთხეულის“ აუდიტები ემსახურებოდნენ, ვიდრე იმ ფირმებს, რომელთაც რიგითი აუდიტორები უწევდნენ მომსახურებას. მეცნიერმა ანა პაულა ლოპესმა დაადგინა, რომ აუდიტის ხარისხსა და კომპანიის შედეგების მანიპულირებას შორის არსებობს კავშირი. კერძოდ, იმ კომპანიებში, რომელთაც „დიდი ოთხეული“ უტარებს აუდიტს, ნაკლებია კომპანიის საქმიანობის შედეგების (მოგების) მანიპულირება.

ავტორი აკეთებს დასკვნას, რომ „დიდი ოთხეულის“ აუდიტორული ფირმები მაღალი სტანდარტებით მუშაობენ, მათი მომსახურება მაღალი ხარისხისაა, მათ მეტად მაღალი კვალიფიკაციის პერსონალი ჰყავთ და ამდენად მათ მიერ აუდიტრულ კომპანიებში ფალსიფიცირების და მანუპულირების შემთხვევა არ ფიქსირდება.

2019 წელს აუდიტის კომპლექსურ მართვის საკითხზე კვლევა ჩაატარეს მეცნიერებმა ნურ აიშა ნაზანმა, ზუჰაიზა ზაილანმა და მუჰამედ რახმანმა [9]. კვლევის მიზანი იყო ბიზნესის ეფექტიანობაზე აუდიტის ინტეგრირებული მართვის გავლენის დადგენა. დასახელებული კვლევა ჩატარდა მაღალიაზიის სამრეწველო ფირმებში. მაღალიაზია ამ სფეროში ისეთივე განვითარებადი ქვეყანაა, როგორც საქართველო და ამ სფეროში მათი კვლევის შედეგებს ჩვენი ქვეყნის აუდიტის პარქტიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

მკვლევარებმა შეისწავლეს კომპანიების ტექნოლოგიური, ადამიანური და აგრეთვე, ფინანსური აუდიტის ხარისხის შესაძლებლობები და დაადგინეს მათ ეფექტიან გამოყენებაზე ინტეგრირებული აუდიტის დიდი გავლენა, განსაკუთრებით მცირე და საშუალო სიდიდის ბიზნესის შემთხვევაში. მკვლევარებმა რესპოდენტების ამორჩევა ჩაატარეს G Pover 3.1.9.2 პროგრამის მეშვეობით, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო პროგრამაა ამ სფეროში. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ მაღალიაზიის სამრეწველო ფირმების ადამიანური, ტექნოლოგიური და ფინანსური აუდიტის ხარისხის შესაძლებლობები შიდა აუდიტის პროცესისთვის მეტად ეფექტური ფაქტორები არიან. აღნიშნული კვლევა მათ ჩატარებული აქვთ მათემატიკური მეთოდების გამოყენებით და აკეთებენ დასკვნას, რომ განვითარებად ქვეყანას უნდა ჰქონდეს ეფექტური აუდიტი. ის ორი-

ენტირებული უნდა იყოს ქვეყნის (ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში - ფირმის) ტექნოლოგიურ, ადამიანურ და ფინანსური აუდიტის ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობებზე.

მონიტორინგში ანალიტიკური პროცედურების გამოყენებას მიუძღვნა თავისი ნაშრომი ვილნიუსელმა მეცნიერმა პ. პოშინაუსმა [10]. მან დაასაბუთა, რომ მთელი დარღვევების და მაქინაციების 27,1% შეიძლება აღმოჩენილი იყოს მონიტორინგში ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების გამოყენებით, კერძოდ, ეკონომიკური მოდელების, მათემატიკური პროგრამების და სხვათა გამოყენებით. საზღვარგარეთ ეს მოდელები მონიტორინგის პრაქტიკაში მართლაც გამოიყენება, საქართველოს პრაქტიკაში კი - თითქმის არა. ამის მიზეზია აუდიტორების და ესპერტების ცოდნის დაბალი დონე მათემატიკურ მოდელებში.

2020 წელს ჩეხმა მეცნიერმა ანეტა ზემანკოვამ გამოიკვლია აუდიტში ხელოვნური ინტელექტისა და ბლოკჩეინის გამოყენება.

მოცემული კვლევა იწყება იმის აღნიშვნით, რომ ხელოვნური ინტელექტი არის ყველაზე განვითარებული სფერო. კომპანიებში მისი დანერგვა ბოლო 4 წელიწადში 270%-ით გაიზარდა, 2019 წელს კი, ხელოვნურ ინტელექტზე გლობალურმა ხარჯებმა 37,5 მლრდ დოლარი შეადგინა. ამით მკვლევარი გვეუბნება, რომ ხელოვნური ინტელექტი და ბლოკჩეინი ინოვაციური სიახლეა და თუ გვინდა, რომ არ ვირიცხებოდეთ ჩამორჩენილთა სიაში, იგი უნდა დავნერგოთ.

მკვლევარის აზრით, ხელოვნური ინტელექტის დანერგვა აუდიტში უნდა მოხდეს ან ექსპერტული სისტემის დანერგვით ან ნეირონული სისტემის დანერგვით (შეიძლება მათი ჰიბრი-

დიც). ამის დასასაბუთებლად მკვლევარი ა.ზემანკოვბა იმონ-მებს სხვა მკლევართა შრომებსაც. ასეთებია: Calderon, Cheh, Rozneri, Komunale, Loveli, Devici და სხვები [11].

მკვლევარი აკეთებს დასკვნას, რომ ხელოვნურ ინტელექტს, აუდიტში მისი გამოყენებით, ეფექტიანობის ამალლების უდიდესი პოტენციალი გააჩნია. მისი დანერგვით აუდიტის სმარტ-პროცედურები და სმარტ-კონტრაქტები შეიძლება შესრულდეს ავტომატიზებული წესით და უდიტის დანახარჯებში დიდი ეფექტი მისცეს კომპანიას. აკეთებს რა ამ დასკვნას, მკვლევარი იქვე იძლევა ილონ მასკის გაფრთხილებას, რომ ხელოვნურ ინტელექტს რეგულირება სჭირდება, რომელიც გააკონტროლებს ამ სიახლეს, რადგან იგი საშიშია.

ზოგადად, ფინანსურ მართვაში, კერძოდ კი, ფინანსურ მონიტორინგში, სიახლეა მსხვილ, დივერსიფიცირებულ კომპანიებში პასუხისმგებლობითი აღრიცხვის შემოღება, ანუ აღრიცხვის დეცენტრალიზაცია. პასუხისმგებლობითი აღრიცხვისას უმაღლესი ხელმძღვანელობა კომპანიაში აფუძნებს პასუხისმგებლობით არეალებს - ცენტრებს. პასუხისმგებლობითი ცენტრი არის კომპანიის სეგმენტი, რომლის მენეჯერი პასუხისმგებელია კომპანიის გარკვეულ მაჩვენებელზე - მოგებაზე, ინვესტიციებზე, საერთო შემოსავლებზე ან დანახარჯებზე. ამგვარი დაყოფა უფლებას ანიჭებს ამ ცენტრების მენეჯერებს დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები.

არსებობს ოთხი ძირითადი პასუხისმგებლობის ცენტრი [12. გვ. 307]:

1. **დანახარჯების ცენტრი.** შემდეგ ის იყოფა სტანდარტული დანახარჯების და მართვის დანახარჯების ცენტრებად. პირველი პასუხისმგებელია პერიოდულ დანახარჯებზე, მეორე - მთლიან დანახარჯებზე.

2. **შემოსავლების ცენტრი.** იგი პასუხისმგებელია მხოლოდ გაყიდვებზე, ანუ ამონაგების მიღებაზე.

3. **მოგების ცენტრი.** იგი პასუხისმგებელია საერთო შემოსავლებზეც, მოგებაზეც, დანახარჯებზეც.

4. **ინვესტიციების ცენტრი.** იგი პასუხისმგებელია შემოსავლებზეც, დანახარჯებზეც და ინვესტიციებზეც.

თითოეულ ცენტრს თავისი ხელმძღვანელი (მენეჯერი) ჰყავს. ცენტრის შერჩევის პრინციპი არის იმ რესურსის (შემოსავლების, ხარჯები თუ სხვა) მდგომარეობა, რომელი რესურსითაც იგი უნდა შეფასდეს.

როდესაც კომპანიაში მონიტორინგი იწყება, მან უნდა გაარკვიოს როგორ იმართება კომპანია ცენტრალიზებულად თუ დეცენტრალიზებულად (ანუ პასუხისმგებლობის ცენტრებით), და, თუ ეს უკანასკნელი დაფიქსირდა, მაშინ, თითოეული ცენტრი ცალ-ცალკე უნდა გააკონტროლოს იმ მაჩვენებლით, რომელზეც მას პასუხისმგებლობა აქვს აღებული.

ფინანსურ მონიტორინგში სიახლეა მსხვილი, დივერსიფიცირებული (მრავალპროფილიანი) ბიზნესპორტფელის ფინანსური პასუხისმგებლობის მიდგომით განხილვა. მართალია ამ მიდგომით პორტფელური ანალიზი საზღვარგარეთ 80-იან წლებში დაიწყო, მაგრამ, საქართველოში იგი ჯერ არ დანერგულა. ფინანსური პასუხისმგებლობის მიდგომით ბიზნესპორტფელის განხილვა, როგორც კომპანიის მოგების და ხარჯვითი უბნების ნაკრებისა, შესაძლებელს ხდის უკეთესად გადანაწილდეს კომპანიის რესურსები, და, ის უბნები, რომლებიც მხოლოდ მხარჯველები არიან, თავის დროზე იქნენ თავიდან მოშორებულნი, ხოლო მათთვის გამიზნული ფულადი სახსრები გადაუნაწილდეს იმ უბნებს, რომლებსაც განვითარების და შემოსავლის მოტანის მაღალი პერსპექტივა აქვთ.

კომპანიაში შესულ მონიტორინგს მოეთხოვება სწორედ ასეთი მიდგომით ჩაატაროს მონიტორინგი და მიღებული შედეგის მიხედვით შეადგინოს ბიზნესპორტფელის გადახალისების პროექტი.

უცხოელი მკვლევარები ფინანსური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით დივერსიფიცირებული კომპანიის უბნებს (ბიზნესერთეულებს) უწოდებენ მეცნიერ პორტერის მიერ შექმნილ ხატოვან სახელებს - „მენველ ძროხებს“, „ვარსკვლავებს“, „კითხვის ნიშნებს“ (ანდა „პრობლემურ ბავშვებს“) და „ძაღლებს“ [13. გვ. 43-59]. „მენველი ძროხები“ - მოგების ცენტრებია, „ვარსკვლავები“ - დაფინანსების შემთხვევაში მომავალი „მენველი ძროხები“ და ა. შ. მონიტორინგმა არა მხოლოდ უნდა შეისწავლოს და გაანალიზოს კომპანიის ამ უბნების ფინანსური მდგომარეობა, არამედ, უნდა მიაწოდოს კომპანიას როგორი გადაწყვეტილებები მიიღოს მათ მიმართ. უბნებს, რომლებიც მოგების ცენტრებად იწოდებიან და რომლებსაც მაიკლ პორტერმა „მენველი ძროხები“ უწოდა განვითარების დიდი პერსპექტივა აღარა აქვთ, მაგრამ ფინანსური თვალსაზრისით მეტად მიმზიდველი არიან. კომპანია უნდა შეეცადოს, რომ ასეთი ცენტრები დიდხანს შეინარჩუნოს, რადგან ისინი ფინანსური რესურსების წყაროს წარმოადგენენ. „ვარსკვლავები“ სწრაფად განვითარებადი ანუ ხარჯვითი ცენტრებია, მაგრამ მოგების ცენტრებში შემოსული თავისუფალი ფული თუ „ვარსკვლავებს“ და „კითხვის ნიშნებს“ მოხმარდება, პირველი „მენველ ძროხებად“ იქცევა, მეორე „ვარსკვლავებად“. თვით „მენველი ძროხები“ კი ამონუშრავენ თავის შესაძლებლობებს, ანუ საბოლოოდ „გამოიწველებიან“ და „ძაღლებში“ გადავლენ. ეს უბნები ტოვებენ კომპანიას.

მონიტორინგმა კომპანიის ბიზნესპორტფელი უნდა ჩათვალოს არაოპტიმალურად თუ კომპანიის ფინანსური რესურსები იფანტება მრავალრიცხოვან უბნებს (ბიზნესერთეულებს) შორის. უცხოელი მეცნიერები თვლიან, რომ თუ კომპანიის ფინანსური მენეჯერი ფლობს პორტფელურ ანალიზს და ამის გარდა, თუ კომპანიაში პერიოდულად, ფინანსური მონიტორინგიც ტარდება, მაშინ კომპანია მცირე რაოდენობის უბნებითაც კი გამართულად იმუშავებს.

დასკვნა

სტატიაში განხილული საკითხების შეჯამებით ის დასკვნა კეთდება, რომ კომპანიის ფინანსურ საქმიანობის მოწესრიგების მიზნით ჩატარებული კვლევები, მიმართულია კომპანიის ხანგრძლივი სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ამ კვლევების შედეგებს უნდა იცნობდნენ და იყენებდნენ კომპანიის ფინანსური მენეჯერებიც და მონიტორინგის სამსახურებიც. ფინანსური მონიტორინგის მიმართულებით მსოფლიოში აპრობირებული სიახლეები საქართველოს კომპანიებში ხშირ შემთხვევაში საერთოდ არ ინერგება. ამის მიზეზი, ძირითადად, სიახლეებისადმი მენეჯმენტის ნაკლები დაინტერესება და, ზოგჯერ, სიახლეებზე ხელმიუწვდომლობაა.

გამოყენებული ლიტერატურა/ REFERENCES:

1. Dimitras A. L., Zanakis S. H., Zopounidis C. A., A Survey of business Failures with an Emphasis on Prediction Methods and Industrial Applications. European Journal of Operational Research 90(3): 487-513. 2006.
2. Altman E. I. Zeta Analysis: A New Model to Identify Bankruptcy Risk of Corporation/E. I. Altman, R. G. Holdeman, P. H. Narayanan//Journal of Banking and Finance – June 1977. pp. 29-54.
3. Altman E. I. Predicting Financial Distress of Companies Revisiting th Z – score and Zeta models, Calter 17 in A. B. Bell, C. Brooks, M. Prokopczuk (EDS). Grand Book of Research Methods and Applications in Empirical Finance. Glos, UK: Edward Elgar Publishing. 2014.
4. Altman E. I., Iwanicz-Drozdowska M., Laitinen E., 2014. Distressed Firm and Bankruptcy Prediction in an International contact: a Review and Empirical analysis of Altman’s Z – Score Model in International Rick Management Conference 2014, Seventh Edition “The Safety of the Financial System: From Idiosyncratic to Systemic Rick”. 23-24 June. Warsaw, Poland.
5. Fulmer W. Financial Management. New-York. 2001. P. 117.
6. Запорожцева Л. А. Внутренний мониторинг финансовый устойчивости сельскохозяйственных форировании. Поронеж. 2007. გვ. 57-58.
7. Beaver W. H. Financial Rations and Predictions of Failure/W.H. Beaver//Supplement to Journal of Accounting Research. 1996.
8. Ana Paula Lopes (2019). Audit Quality and Farming’s Management: Evidence From Portugal. <https://doi.org/10.30958/ajbe.4.2.4.dio=10.30958/abe.4.2.4>.

9. Noor Aichah Hassan, Suhaiza Zailani, Haslida Hausan (2019). Integrated Internal Audit in Management System: A comparative Study of Manufacturing firms in Malaysia. <https://dio.org/10.1108/TQM-03-2019-0077>

10. Пошинаус П. З. Применение бухгалтерских знании при расследовании и предупреждении преступности. Вильнюс. 2017. (Poshinaus P. Z. The Use of Accounting Nnowledge in the Investigation and Prevention of Crime. Vilnius. 2017.)

11. Zemancova A. Artificial Intelligence and Block chain in Audit Accounting. Praga. 2020.

12. სტრიკლენდი ა., ტომპსონი ა., სტრატეგიული მენეჯ-მენტო. 2010. გვ. 307. (Strickland A., Thompson A., Strategic Management. 2010. p. 307.)

13. Porter M. E. From Competitive Advantage to Corporate Strategy. Harvard Business Review 65. no. 3 (May-June 1987). pp. 43-59.

SCIENTIFIC RESEARCH AND RECENT FINDINGS IN FINANCIAL MONITORING

Tornike Jincharadze

Doctoral student of Technical University of Georgia

Tristan Jincharadze

Professor of the Free University

RESUME

The article discusses the existing studies on the issue of financial monitoring and the suggestions that their authors have. The discussion of these studies begins with the American scientist Edward Altman's Z-model, which he proposed to predict the risk of bankruptcy for companies. The article presents both an earlier and a modified version of the Z-model developed by Edward Altman.

The article also discusses and evaluates the 9-factor model developed by V. Fulmer and R. Saifulin and G. Kadikov's four-factor models.

Among the more recent studies in the field of monitoring is the study of the Portuguese scientist Ana Paula Lopez, who found that the companies served by the audiences of the "big four" no longer cheat in the financial part. Malaysian scholars Noor Aisha Nizan and Zuhakha Zailan found in 2019 that it is best to combine financial audits with technological and human audits. Also, in 2019, Vilnius scientist P. Poshinaus argued that monitoring should be carried out only by economic-mathematical methods, because they provide great opportunities for finding financial irregularities. And in 2020, Czech scientist Aneta Zemankova proposed to the public to use artificial intelligence in monitoring.